თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3755633

ნომერი: AR1565648

თარიღი : 19.12.2017

გაცემის თარიღი : 26.12.2017

გაცნობის თარიღი : 27.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , ქუჩა დემეტრე თავდადებული , N 30 / ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , ქუჩა დემეტრე თავდადებული , N30-ის მიმდებარედ , ნაკვ.01/140 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნოდარ ბაღათურია პ/ნ 01008022487
- მცხეთის ქ.#1/ბ.27

ორგანიზაცია:
- მაგთიკომი კოდი: 204876606

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 8 მ-მდე სიმაღლის მქონე ანძა, ანტენა, გაყვანილობისა და განათების ბოძი
  ახალი მშენებლობა
- დროებითი დანადგარი
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი- საბურთალო, ქუჩა დემეტრე თავდადებულის, N 30-ში, შპს „გეო ლატექსი“-ს საკუთრებაში არსებული შენობის სახურავზე შპს "მაგთიკომი"-ს მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის ანტენების და დროებითი დანადგარების განთავსებას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან № 892017228286 20/12/2017წ. საკადასტრო კოდი № 01.10.06.001.147, ჰიგიენური დასკვნა პროექტზე №233 11.12.2017წ. ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი,) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი- საბურთალო, ქუჩა დემეტრე თავდადებულის, N 30-ში, შპს „გეო ლატექსი“-ს საკუთრებაში არსებული შენობის სახურავზე შპს "მაგთიკომი"-ს მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურის ანტენების და დროებითი დანადგარების განთავსების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ ანტენების და დროებითი დანადგარების მოწყობისას უნდა უზრუნველყოთ მისი კონსტრუქციული მდგრადობა.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.